„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. - 4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ —2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის ზომაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объяв. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

## „დროების“ ფასი მაისის პირველიდამ წლის დამლევამდე 7 მანათი; სოფლის მასწავლებელთათვის 5 მანათი.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

### დღეს, აპრილის 30-ს

საზამთრო კრუჟოკის ზალაში გამართული იქნება სალამო

### საქველ-მოქმედო განზრახვით.

საუკეთესო მოლეკურენი ითამაშებენ ლეკურს და დაუკრავს საზანდარი.

ბილეთები წინადვე ისყიდება შავერდოვის პავილიონში. „სალამოს“ დღეს ბილეთების მიღება შეიძლება კრუჟოკის შვეიცართან.

ბილეთის ფასი ერთი მანათი.

## საზოგადო წლიური კრება

### თბილისის სათავად-აზნაურო ბანკისა

სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ ბანკის კრებებისათვის თითქო სამუდამოდ გაჰქრა ის დრო, როდესაც ძალის-ძალადობით მოგროვილი ორმოც-და-ათი წევრი საჩქაროდ მოისმენდა ხოლმე წლიურ ანგარიშს, საჩქაროდვე დაამტკიცებდა, საჩქაროდ გასინჯავდა ბანკის გამგეობისაგან წარმოდგენილს მოხსენებათა, საჩქაროდ აირჩევდა თანამდებობის პირებს და საჩქაროდვე დაიშლებოდა.

ეხლა ამ კრებებმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღეს. საზოგადოება მარტო მოსმენით არა კმაყოფილდება და სურს, რომ ყველაფერს ჩაუკვირდეს, ყველაფერი ასწონ დასწონოს და ისე ჩააგდოს თავისი კენჭი შავს ან თეთრს ყუთში.

ესეთს თავ-გამოდებას ბანკის წევრების მხრივ თან მოსდევს მთელის საზოგადოების ყურადღებაც. არწრუნისეული თეატრი ძლივს იტევს ხოლმე კრებების დროს მაყურებელთა რიცხვს. პარტერი ხალხით გატენილია, ლოჟები ქალებით სავსე და, ასე გასინჯეთ, გალერეიასაც კი ჰყავს თავისი პუბლიკა. და მთელი ეს ხალხი მარტო იმიტომ კი არ მოდის, რომ ან ერთს კანდიდატს თანაუგრძნობს, ან მეორეს და კენჭების ჩხარი-ჩხურით სურს დაიტკბოს თავის მსმენელობა, არა,—მას მრავალ-მომთმენლობაზედ ეტყობა, რომ თვით საგანი იპყრობს მის ყურადღებას, საგანზედ სჯა სურს მოისმინოს და როგორც თვალი მოატყუოს, ისე გრძნობა-გონება ავარჯიშოს.

წლევანდელი კრება გაიხსნა შაბათს, აპრილის 27, დილის 10 საათზედ. თავმჯდომარეობდა თ. ივანე ანდრონიკაშვილი, თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა. კრებაზედ 80-მდე ხმაა დამჯუძნებელი წევრებისა და 4 თუ 5 მსესხებლისა. ეს რიცხვი დღითი-დღე მატულობს.

კრების გახსნის უმალვე ერთ-ერთმა გამგეობის წევრმა წაიკითხა საკმაოდ ვრცელი მოხსენება გამგეობისა ბანკის მდგომარეობაზედ წარსულს წელს და მოკლე ანგარიში ბანკის ათის წლის მოქმედებისა. გამგეობა თავის მოხსენებაში გულ-წრფელად აღიარებს, რომ საზოგადოდ ვაჭრობისა და აღებმიცემობის დაცემამ კავკასიაში მეტის მეტად დაბლა დასწია მამულების ფასი, როგორც ქალაქისა, ისე სოფლისა. ამ გარემოების გამო ბევრი მამული დარჩა ბანკს და ამ დაწესებულებას ისე არაფერი ავნებს, როგორც მამულების დარჩენა, რომელთ წესიერად მოვლა ბანკის გამგეობისათვის მეტის-მეტად საძნელოა.

იანვრის პირველისათვის 1885 წ. ბანკსა ჰქონია 24 დარჩენილი მამული 103,919 მანათისა სოფლისა და 643,359 ქალაქისა (აქედამ წელს ჯერ-ჯერობით გაყიდულა 9 მამული 79,783 მანათისა). რადგან ეს მამულები ბანკზე დარჩენის დროს ნახევარ-წლის ვალით მაინც დატვირთულნი იყვნენ და თითქმის ყოველ იმათგანის პატრონს ნახევარ-წლისა და ზოგგან მთელი წლის შემოსავალი წინდაწინვე აკრეფილი ჰქონდათ, ამის გამო შარშან ამ მამულებიდამ შემოსავალი მეტად მცირე იყო და გადასახადი კი დიდი. შარშან ბანკმა სრული თავისი მოგება 102,524 მანათი, აგრეთვე 3,259 მან. საზოგადო საჭიროებისათვის დანიშნულ თანხიდამ და 1,172 ექსტრაორდინარული თავნიდამ ამ გარდასახადს მოანდომა. ამ გზით სრულიად გასწმინდა წარსულის წლის გარდასახადი, რომელიც ბანკზედ დარჩენილ მამულებს შეხვდებოდათ.

წარსულს წელს გაუცია ბანკს 85 დიდ-ვადიანი სესხი 776,500 მანათისა; მათ შორის 34 სესხი სოფლის მამულებზედ 307,300 მან. და 51—ქალაქისაზედ 469,200 მან.

ამავე წელს გადახდილა სესხი უვადოდ სოფლის მამულებზედ 79,300 მან. და ქალაქისაზედ 159,600 მანათისა, ტირაჟით სოფლის მამულებზედ 10,600 მან. და ქალაქისაზედ 62,050 მან.

იანვრის პირველისათვის 1885 წ. არის დიდ ვადიანი სესხი 4,820,079 მან.

ამ წელს მოემატა წევრთა რიცხვს ურთიერთ-შორის თავდებობით თავად-აზნაურნი—22; სხვა წოდებისა—63. ამავე წელს ბანკს გაუყიდნია თითქმის სრულად საკომისიოდ აღებული გირავნობის ფურცლები 517,300 მანათისა.

ეს არის მოკლედ მოხსენება ბანკის გამგეობისა. ზედამხედველს კომიტეტს დაემტკიცებინა ანგარიში წარსულის წლისა და წარუდგინა იგი საზოგადო კრებასაც დასამტკიცებლად.

მეტად გაგძელდებოდა რომ აქ დაგვებეჭდა ვრცელი ანგარიში კრებაში ატეხილი ბაასისა; ამიტომ დავბეჭდავთ მხოლოდ მის მოკლე შინაარსს.

თ. დ. ჯავახიშვილი. გამგეობას არავითარი უფლება არა ჰქონდა მოგება დაეფარა იმ ფულიდამ, რომელსაც სრულიად სხვა დანიშნულება აქვს. ერთი ნაწილი ამ ფულისა დანიშნულია გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის შესაწევნელად და მეორე ეკუთვნის ექს-

## ამას ვემახით ნათელ დროს

ირღვევა წმინდა ტაძრები,
წყარო ნადენი მიღითა;
იმათში მგელი მხატვრობა
ღამის შეგდებით კირითა.

ცვდება, სრულიად ისპობა
კედლებზედ წარწერილები,
სხვა-და-სხვა კარგნი სურათნი
ჩუქურთმით გამოჭრილები;

და გარემემო ხევსაც
სრულად გაუხმათ ფესვები
ფრინველნიც აღარ გალობენ
გულისა ამაკვნესები;

მგელი ნაშთები დაირღვენ,
რა დარჩეს ჩვენსა შვილებსა?
რით მოიგონებს წასულ დროს,
სწავლას რით გაასშირებსა?..

ვქებთ მედიდურს განცხრომას,
გმართავთ მეჯლიშებს, ბალებსა,
ვფანტავთ ამაოდ ფულებსა
გეპატიჟებით ქალებსა.

მოგვძულდა ჩოხა, ნაბადი
გულს ჩავიმწკრივეთ ღილები;
უცხო სამოსით გამაყობთ
ჯიბეებ-გახვრეტილები.

ქალებსაც მორთულობაზედ
დაუშტერიათ თვალები;
ქმრებს ემახიან მოგვართვით:
შემწვარი, გამომცხვარები.

სახლს ვერ უვლიან რაგზედა
პირ-ჩირქით შეგლესილები,
უარ ჰყვეს ქართველთ დედობა,
დაგვიმახინჯეს შვილები.

ეუბნებიან „შვილებო
მამას უძახეთ „პაპაო“,
სამშობლო ენა ნუ გინდათ..

ი. დ.

## მოჩვენება

### კოდო

რა მშვენიერი რამ არის ზაფხულის პაპანაქებაში რომ ტყეში შეხვალ და სიცხისაგან გარინდებული გულს მიუშვერ იმის გამაგრილებელ სიოს! დაისვენებ,—მიგიხარიან, უახლოვდები ქშენით, ის კი არ იცი, რომ შენ ერთი მიხვალ იქ დასასვენებლად, და ათასს კი, რომელთაც შენსავით უნდათ დაისვენონ და დატკბნენ ბუნების მშვენიერებით, გულს უხეთქს და აწუხებს შენი ფეხის ხმა. . მიხველ თუ არა, გაიშალე წიფლის, ან ქორაფის ქვეშ და მალმალის ქშენით იბრუნებ სულს,—სტკბები გარს გადაშლილი ბუნების მშვენიერებით, ჰხარობ მალხაზი ჩიტების ცქერით, რომელნიც უზრუნველად ხიდამ-ხეზედ დაფრინვენ და ტკბილად გალობენ. სმენად გადაიქეცი და ყურს უგდებ სულ-განაბული... ჰხედავ პატარა ჩიტუნიას? დიაღ, ჰხედავ... ზინდა დაიჭირო, მიუალერსო, როგორც პატარა ძმას,—მაგრამ იმან, იგრძნო-რა შენი იქ ყოფნა, შეშინებულმა და ბეწვ-აშლილმა, კისრის ძაგვით, დაიწყო ფრენა და ჰყივილი ხის ტოტებში, გაფრინდა და მიიმალა ფოთლებში...

მშველსაც გამოუყვანია თავის პატარა ნუკრი და ევლება თავს. ჰლოკს და სისწრაფით თვალს გარეშემო ავლებს: მტერი ხომ არსად არის ახლო მახლოო. შეჰხედე, როგორი ლამაზია პატარა ნუკრი! ერთი-ბეწვა, წითელი კუნტრუშობს დედის გარეშემო: ხან ძუძუზედ მისწვდება, ხან ზედ მიახტება და ჰგლეჯავს დედას პირიდგან ბალახს. ესეც გულს იზიდავს: გინდა თავს მოევლო, დაუკოცნო ლამაზი თვალები, მაგრამ აგერ დედა დაფეთდა, თავის შვილს გადაჰხედა; გადახტა

ტრაორდინარულს თანხას, ე. ი. იმ თანხას, საიდამაც უნდა შეეწიოთ რაიმე მოულოდნელი უბედურებისაგან დაზიანებულ დამფუძნებელ წევრთ. წესდება გეუბნებათ, თუ ზარალი მოგივიდეთ, სათადარიგო თანხიდამ დაჰფარეთ ეს ზარალიო და თქვენც წესდებისამებრ უნდა მოქცეულიყავით. კრებას არა აქვს უფლება ხელი ახლოს იმ თანხას, რომელიც ყველა დამფუძნებელ წევრთათვის არის დანიშნული.

ამავე აზრისანი არიან ალ. კვალიაშვილი, კობიაშვილი, თ. ნ. ჩოლოყაშვილი და სხვანი.

თ. ილია ჭავჭავაძე, თავმჯდომარე გამგეობისა. კრებას აქვს უფლება დაჰფაროს თავის ზარალი, როგორც სათადარიგო თანხიდამ, ისე სხვა თანხებიდამ, რომელნიც სრულს მის გამგებლობაში არიან. საზოგადო კრება არის წარმომადგენელი ყველა წევრებისა და მისი გარდაწყვეტილება საერთოდ სავალდებულოა. ყველას შეუძლიან უარ-ჰყოს თავისი უფლება და თუ საზოგადო კრება უარს-იტყვის რამოდენიმე ათას მანათზე, რომელიც ბანკის მოგებიდამ უწინდელ წლებში დარჩენილა, რომ ამით სათადარიგო თანხას ხელი არ ახლოს და გირავნობის ფურცლების ფასს არ ავნოს,— ეს, ვგონებთ, სასახელო იქნება მთელის კრებისათვის: ეს დაამტკიცებს კრების მზრუნველობას ბანკის კეთილდღეობისათვის და პირნათლად გამოიყვანს ბანკს მის მოვალეთა წინაშე, ესე იგი წინაშე იმ პირთა, რომელნიც ენდობიან ბანკს, მისი გირავნობის ფურცლები უყიდიათ და სიფთხილით თვალს ადევნებენ მისის სათადარიგო თანხის რაოდენობას.

ამაზე სჯა თითქმის სამის ნახევრამდე გაგრძელდა. ბოლოს კენჭი უყარეს შემდეგს საგანს: დამტკიცდეს გამგეობის აზრი, თუ ზარალი სათადარიგო თანხიდამ დაიფაროს. კრებამ დიდის უმეტესობით დაამტკიცა პირველი აზრი და გამგეობისგან წარდგენილი ანგარიშიც.

## შინაური ქრონიკა

ოთხშაბათს, აპრილის 29-ს გათავდა კრება თბილისის სააღგილ-მამულო ბანკისა. კრებამ მიიღო ყველა მოხსენება გამგეობისა. დასასრულ, თავმჯდომარედ გამგეობისა ამორჩეულ იქმნა ერთხმად უკენჭოდ თ-დი ი. ჭავჭავაძე. თავმჯდომარედ დამფასებელის კომისიისა კოსტ. ლუარს.-ძე ფურცელაძე და ზედამხედველ კომიტეტის წევრებად წევრნი ძველის კომიტეტისავე. მხოლოდ ი. გ. თარხნიშვილმა უარი სთქვა ზედამხედველის კომიტეტის წევრობაზედ სხვაგან წასვლის გამო და მის მაგიერად ამოირჩიეს ერთხმად თ-დი დ. ავალიშვილი.

კვირას, აპრილის 28-ს, ბანკის კრებამ 68 ხმის უმეტესობით 7-ს წინააღმდეგ დაამტკიცა, რომ არწრუნისეული ქარვასლა და სახლი ბალითურთ შეძენილ იქმნას ბანკის დამფუძნებელ წევრთა სრულს საკუთრებად ვალის გადატანით და ნაწილ-ნაწილ გადახდით.

ქუთაისიდამ გვწერენ: „ფილოქსერა ფილოქსერაა, მაგრამ სანამ ეს საშინელი მწერი ქუთაისის გუბერნიას მოედებოდეს, მანამ ჩვენს ვენახებს სხვა არა ნაკლებ საშიში ჭირი მოადგა. ქუთაისის მაზრის უფროსმა აპრილის 25-ს წარუდგინა ქუთაისის გუბერნატორს რაღაც ნაირი ჭიები და მათგან დასრული ვენახის ლერწები, რომ მას გაეგზავნა ესენი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში გამოსაკვლევად და მათ წინააღმდეგ საშუალების გამოსაძებნად. ეს ჭია, როგორც იწერება ბაღდადის (ქუთაისის მაზრაშია) ზრისტავი, გამოჩნდა შარშან გაზაფხულში და ეს ორი წელიწადია მთლად იკლებს სოფ. საღემეტრაოსა და ფერსათის ვენახებს; ჭია თავის ცხოვრებით, გამრავლებით და და პარკების გაკეთებით ძლიერ წააგავს აბრეშუმის ჭიას; გამოჩნდება კვირტების გამოტანის დროს და სჭამს მათ, ასე რომ შემოდგომაზე შემამულეებს ვაზებზე ფოთოლის მეტი აღარა რჩებათ-რა. „ქუთაისის სამეურ. საზ. განყოფილებამ“ მიმართა კიდეც ამის თაობაზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვს როგორც საშუალების გამოძებნას ამ ჭიის წინააღმდეგ ისე ნივთიერს დახმარებასაც, თუ საჭიროება მოითხოვს.

საჭიროა ამ თავითვე დაუყოვნებლივ იქმნეს ზომა მიღებული ამ ახალი მტრის წინააღმდეგ, თორემ რაკი გაზვიადდება ჭირი—ძნელი-და იქნება მასთან ბრძოლა. ამასთან ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ ფილოქსერა, თუმცა საშიშია, მაგრამ ჯერ კიდევ მოსალოდნელია და ფეხმოუდგმელი ჩვენში; ეს ჭირი კი სახლში გვიდგას და დღითი-დღე ვრცელდება; თუ პირველზედ იმოდენი ფული დაიხარჯა (26 ათასი მანათი), არ იქნება ურიგო, რომ მეორეზედ მისი მეათედი მაინც მოახმარონ და იხსნან განსაცდელისაგან მხარე.“

აპრილის 26-ს მოხდა შემდეგი სხდომა საფილოქსერო საზოგადოებისა. გაიმართა მსჯელობა კავკასიაში ამერიკული ვაზების გაშენებაზე, რომლის გარჩევა წინანდელ კრებაზე ვერ დაასრულეს. ბევრმა ილაპარაკა ამ საგნის წინააღმდეგ და ბევრი კი თანხმა გახდა.

შემდეგ თავსმჯდომარემ წევრებს მისცა შემდეგი წინადადება: ა) ივარგებს, რომ კერძო პირებს ნება მიეცესთ გააშენონ ბაღჩები ამერიკულის ვაზებით, საიდამაც შემდეგ შესაძლო იქმნება ამ მცენარეთა გადატან-გადმოტანა სხვა ადგილებზე და ბ) თუ ის ემჯობინება, რომ ეს ბაღჩები გაშენებულ იქმნენ განმარტოებულს ალაგებზედ და მათ ადევნოს თვალყური მთავრობამ? პირველი წინადადება კრებამ, 31 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ერთისა, უარ-ჰყო და მეორე კი მიიღო. შემდეგ ბ. ანანოვმა კრებას წარუდგინა წინადადება „რუსეთში ფილოქსერასთან საბრძოლველ საშუალებათა შესახებ“. მან თავის სიტყვაში გამოხატა ის ზომები, რომელნიც იხმარა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა სუხუმში და მის არე-მარეში ფილოქსერის მოსასპობლად.—მისი სიტყვით, ფილოქსერის წინააღმდეგ ხმარობდენ მდუღარე წყალს, ნავთს, ილებდენ ვაზებს მირჩანად და ადგილობრივ სწავლენ [illegible] აგრეთვე განმარტა ფილოქსერასთან საბრძოლველად გამოგონებულნი საშუალებანი ყირიმში, თბილისში, ყუბის მაზრაში, ბაქოს გუბერნიაში და ყუბანის ხეობაში, და აუხსნა კრებას, თუ სად რამდენი ფილოქსერიანი ვაზები აღმოჩნდენ. ამ წინადადების მოსმენის შემდეგ ასტუდა ბაასი, თუ რომელი საშუალება სჯობია ფილოქსერასთან საბრძოლველად. თავსმჯდომარის აზრით უმჯობესი იქმნებოდა, რომ საშუალებათა ამორჩევა, ადგილობრივ ნიადაგთან შეთანხმებით, თვით კომიტეტს მიენდოსო; ეს აზრი კრებისაგან ერთხმად მიღებულ იქმნა. დასასრულ ბ. ანანოვმა წარმოსთქვა, რომ ფილოქსერასთან საბრძოლველად აუცილებელად საჭიროა, სალხში გავრცელდეს ცოდნა ვაზების მოვლისა და ღვინის კეთებისა და სთხოვა კრებას, იშუამდგომლოს სახემწიფო ქონებათა სამინისტროსთან კავკასიაში სამეურნეო სკოლის ადრიანად გახსნისათვის.

აპრილის 27-ს შესდგა უკანასკნელი სხდომა საზოგადოებისა. ნაშუადღევის ორს საათზე თავს-მჯდომარემ კრების დახურვა გამოაცხადა. ამასთანავე, კრების მინდობილებით, თავსმჯდომარემ გაუგზავნა სახემწიფო ქონებათა მინისტრს ტელეგრამა, რომლითაც მადლობას უცხადებდა მინისტრს, რომ მან იშუამდგომლა კრების გახსნისათვის, რომელზედაც სწავლულებმა და პრაქტიკებმა მსჯელობა იქონიეს ფრიად საყურადღებო საქმეზე.

ჩვენ მივიღეთ „ქუთაისის სამეურნეო საზოგ. განყოფილების“ გამოცემა: „მოკლე დარიგება აბრეშუმის ჭიის მოყვანაზე.“ ამ გამოცემით, თუმცა იგი მცირე წვლილია „ქუთ. სამ. საზოგადოებისაგან“, აბრეშუმის წარმოების საქმეს სარგებლობა მოუტანა ამ „საზოგადოებამ“.

„კავკაზში“ ვკითხულობთ: „თებერვლის 24-დამ აპრილის 21-მდე ქუთაისში უკავილით ყოფილან ავად სულ

---

და გაიდევნა უკან,—შენ გულ-ჩათუთქვილმა უკანასკნელად მოჰკარ თვალი, თუ როგორ მოეფარა პატარა ნუკრი დიდრონ ხეებს და კლდეებს. აი, კოდალამაც თავი დაანება საზრდოს ღებას ხითგან და „მწ—ა—ი“-ს ძახილით გადაევლო იქით. ღობე-მძვრალაც უკრავს იქით სადმე წამოქცეული ხის დამჭკნარ ფოთლებში; გარს შემოჰხვევიან სხვა ტყის მგოსანნიც და ეჯიბრებიან პატარა მომღერალს. ამათმა ბავშურმა ტიტინმა დაგიარა გულის ძარღვში? ზინდა ამათს უზრუნველობის ახლო მიყუჩდე, მაგრამ რას ჰხედავ? რა ახლოს დაგინახეს, მყის მოშალეს მხიარულება და გაიფანტ-გამოიფანტნენ. შენ დაეყრდნე ნიდაყვებზედ და დაიწყე შენთვის რაღაც დუდუნი: თითქო არვისთვისა გშურს სიცოცხლე, ყველას ძმურად ხელს აწვდი—რად გიფთხებიან? ჰფიქრობ და მოგდის ჯავრი.

ესე მომივიდა მეც.

ერთხელ ყველაზედ სასო-წარკვეთილი გულ-აღმა ვიწექ ტყის გრილოში. სამ-ყურა იყო გაბმული ჩემს გარშემო და იონჯა, ლაჟვარდად აყვავებული, რომელსაც ფუტკრის და ბუზების ჯარი ეხვეოდა. კრაზანებიც დაფრინავდენ და ფოთლების ჯუჯუტანებითგან ჩამოშვებულ მზის შუქზედ ყვითლად ბზყინავდენ. ამათაც არ ეპიტნავათ ჩემი იქ ყოფნა და შორს გადაფრინდენ გაჯავრებულები. მე თვალს ვადევნებდი ამათ, რომ ჩამძინებოდა. ენახოთ გამოჩნდა ბზუილით კოლო და ისარ-გამოწვდილმა მომმართა.

— გამარჯვება შენი, კოლო? ვუთხარი მე.

— გაგიმარჯოს?! მიპასუხა:—მაგრამ მე არა მცალიან შენთან სასაუბროდ. მე, ჰხედამ მუცელი როგორ გაწვრილებული მაქვს,—უჭმელობისაგან ლონე წამივიდა.

— რადა, ჩემო კოლო, თუ მშიერი ხარ, გაჰმეე. დაანებე თავი ხუმრობას და შევრიგდეთ. რა გაწყეინე აგეთი. ვგონებ არაფერი დამიშავებია. იმას რა სჯობია, ხელი მომცე;—დავმეგობრდეთ?

— ეს კიდე თავისას ამბობს. არ ვიცი მე მხალი-მხული; ის შემოფრინდა ზედ და იწყო ხორთუმით კანის თვალიერება. ბოლოს ერთ ადგილზედ დადგა და გამოუშვა გრძელი გამწვეტებული ისარი; ჩამისო კანში, დაიხარა, მუხლებში ჩაიკეცა და თავიც სულ ძირ-ძირ წაილო. ვხედამ, თან-და-თან როგორ წითლდება, იბერება ჩემის სისხლით,—ისარი სულ ძირ-ძირ მიდის... გულზედ მეწყრა... ის კი აღარ მეშვება,—ბოლოს თავი სულ ზედ მიიტანა კანზედ; ამოაძრო ისარი და იქვე ჩაუშო. მე კანი დამეწვა და იმან-კი სიამოვნებით ფეხები გაიქნია. მე გული მომივიდა, როგორ თუ ამანაც ასე დამიბრიყვა-მეთქი, და როდესაც ამ ყოფაში იყო და აპირობდა კიდევ ისარს გასაფრენად, გავშალე ხელი და დავარტყი... ისარი შიგ მოსტყდა, წყლულმა ზრზინვა დაიწყო. „არაფერია-მეთქი, ვამბობდი და გამომელვიძა. მართლაც, ჩემს გარშემო ბევრი კოლოები ირეოდენ, დაბზუოდენ და მეტანებოდენ საკბენლად; ჩიტები გალობდენ შორს ტყის კუნჭულში და ასმენდენ გულს ტკბილს, თავისუფლების ხმებს... წვერხმელ წიფლის ტოტზედ ქედანს მხრები ჩამოეშვა და ღუღუნებდა საქოროწილო სიმღერას:

„თეთრო თევდორე,
შენ ხარ მოწამე,—
ხოხობს უთხარი,
მომცნეს ბოლონი,
წითელ-ყვითელნი,
საჯვარობონი *)!

ბახანა.

1884 წ.

*) ხალხსა ჰგონია ქედანი ამ ლექსს ღუღუნებსო.

365 სული და წითელათი —100-ი; იმათგან ყვავილიანები 291 და წითელიანი—64 კაცი მორჩენილა; მომკვდარა 47 ყვავილით და 4 წითელათი. ეხლა ყვავილით 27 სულია ავად და 27-იც წითელათი. ყვავილი 1481 კაცისათვის აუცრიათ.

## დავა შუა აზიაში

**Новости**-ს ვენელი კორესპონდენტი იწერება: „გლადსტონის კურსმა უეცრად ას %-მდე აიწია. დღეს თითქმის ყველა გაზეთები ამტკიცებენ, რომ Ინგლისის პრემიერის უკანასკნელი სიტყვა არა-ჩვეულებრივი, საგანგებო რამ იყო და რომ ორატორი ღირსია, ასეთის სიტყვის წარმოთქმისათვის, ეპატიოს ყოველივე შეცდომილებანი, უხერხულობანი, რომელნიცკი დიპლომატიურს ასპარეზზე აქამდის ჩაუდენია მას. Ერთი გაზეთი იქამდინაც მივიდა, რომ ყოველი შეცოდებანი მიუტევა გლადსტონს, მიუტევა პირველს მინისტრს მისგან წარმოთქმული „სული განზე!“ Ერთის სიტყვით ვენის პოლიტიკოსნი ალტაცებულნი არიან ტაქტიკურის და მამაცურის მოქმედებით გუშინდელის მტრისა, მოწინაალმდეგისა, რომელსაც დღემდის დიპლომატიურს უნიქოებას, ცრუ-პატრიოტს, Ინგლისის შემარცხვენელს და სხვა და სხვ. უწოდებდენ... და რით დაიმსახურა ამ ყველასაგან საზიზღარმა გლადსტონმა ესეთი თანაგრძნობა? Იგი ერთის მხრით, რუს-Ინგლისის შუა ამტყდარს განხეთქილებისათვის რუსეთსა სდებს ბრალს, მეორეს მხრით-კი—მხურვალედ აცხადებს, რომ Ინგლისმა გადასწყვიტა მოითხოვოს დაკმაყოფილება. საზოგადოებათა პალატამ თითქმის ომი გამოუცხადა, როდესაც დაუყოვნებლად, ერთხმად მიილო კრედიტი. ამ ორმა ადგილმა გლადსტონის სიტყვისამ შესანიშნავი ალტაცება დაატყვეს აქაურს საზოგადოებას. Თვით უპირველესი მშვიდობიანობის მიმდევარი გაზეთი „Neue Freie Presse“ ამბობს, რომ მთელი ქვეყანა დირწმუნებულია დღეს, რომ ომის ამტეხი Ინგლისი არ იქნება. „Tageblatt“-ი ვერ ჰპოულობს საკმაოდ სიტყვებს Ინგლისის ერის სადიდებლად, ქების შესასხმელად.—მართლაც, ვერ უარ-ვყოფთ, რომ Ინგლისის პრემიერი ძლიერ იცავდა ზომიერებას თვის სიტყვაში. Ეს სიტყვა გაჭრილ-გაზომილი, თავ-დაჭერილი იყო და ზოგი ფრაზების გარდა, უნდა მოველოდებოდით, რომ კარგს შთაბეჭდილებას მოახდენდა იგი. მაგრამ შესანიშნავი ის არის, რომ სწორედ ეს ზოგიერთა ფრაზებია, რომ ალტაცებაში მოჰყავთ აქაური პუბლიცისტები, თუმცა ნამდვილად კი მათ (ფრაზებს) საომარი ხასიათი აქვთ. Ეს ფაქტი საკმაოდ ამტკიცებს, რომ ავსტრიელებს, ოფიციალურ რწმუნებათა მიუხედველად, ჰსურთ ომი, მოულოდნელად მოელიან რუს-Ინგლისის შეტაკებას“.

◆◆ Central News-ს დეპეშით აცნობებენ ტირპულიდამ: „ავღანელები უჩივიან გენ. ლემსდენს, რომელმაც დახმარება არ ამოუჩინა მათ პენჯდესთან. აქ ხმებია გავრცელებული, რომ სპარსეთი გაცხარებულად ამაგრებს Ავღანის საზღვრებსო.

◆◆ Daily News-ი იწერება: „რუსის ჯარისაგან მარუჩაკის აღებაზე გავრცელებულ ხმების გაცრუვებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აქ, რადგან ეს გარემოება რომ მართალი გამომდგარიყო, ძლიერ ავნებდა საქმის მოსალოდნელს დასრულებას. Ჰენჯდეს საქმე ერთსა და იმავე მდგომარეობაშია დღესაც. რაც შეეხება საზღვრის საქმეს, ჰფიქრობენ, რუსეთი საკმაო თავაზიანობას იხმარს Ინგლისის სასირგებლოდაო.

◆◆ ჰერათიდამ სწერენ სპარსულს გაზეთებში, რომ, როდესაც ავღანელების დამარცხების ამბავი გაიგესო იქ, ჰერათის გუბერნატორს მაჰმადსერვერ-ხანს წარუდგნენ ქალაქის დეპუტაციანი და განუცხადეს, რომ ჰერათის მცხოვრებნი მზად არიან ყოველი უბედურება იკისრონო... დეპუტაციამ მოითხოვა—ეს მათი წადილი ეცნობოს ემირს. Ყველა მამაკაცს ჰერათში დაურიგდათ იარაღი.

## ბიბლიოგრაფია

### „ალღუზიანი“

პოემა, გამოცემული ნ. გამრეკელისაგან. თბილისი 1885 წ.

ამ დღეებში გამოსული პოემა „ალღუზიანი“, უეჭველია, მიიქცევდა ქართველ მკითხველ საზოგადოების ყურადღებას, როგორც ჩვენთვის აქამომდე უცნობი ქმნილება. პოემა დაწერილია ძველის ენით (შაირით) და ემგზავსება რუსთაველისებურ კილოს. პოემის გმირია Ავღუსტ კეისრის შვილი Ალღუზონი, რომელსაც მოუტაცნია თვისი მიჯნური, გადმოსულა კავკასიაში და დაუპყრია ჩერქეზეთი, ჩაჩნეთი, Ოსეთი და სხვ. ამ მთიულებთან ბრძოლა Ალღუზონისა, მისი ზღაპრული მოქმედებანი და სიკვდილი შეადგენენ პოემის შინაარსს. პოემის თავ-გარდასავალს ჩვენ ვტყობულობთ ბ. გამომცემლის წინასიტყვაობიდგან; ნარაში (Ოსეთშია), სოფ. ნუზალში იმყოფება მონასტერი, რომელიც აშენებულია გარდმოცემათა მოწმობით „Თამარ-დედოფლისაგან“. Ეს მონასტერი აქამომდე გადურჩა ჟამთა-ვითარებას, ბუნების დამათრგუნებელ ძალას და შეუნახავს თვის ზღუდეებში პოემა „Ალღუზიანი“, რომელიც ეხლა ხანს უპოვია მღვდელს Იოანე რუსიევს და ბ. გამრეკელს-კი გამოუცია...

რაც შეეხება პოემის მნიშვნელობას, ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ იგი შეადგენს შესამჩნევ შემატებას ჩვენის კლასიკურის ლიტერატურისათვის. Თუმცა პოემას ზღაპრული ხასიათი აქვს, და თუმცა სამწუხაროდ ბ. გამრეკელის სიტყვები: „ამ პოემას აქვსო ნამდვილი ისტორიული ნიადაგი, რომელიც არის აღნიშნული ქართულ ისტორიაში“ (ნეტა რომელ „ისტორიაშია“ Აღწერილი Ავღუსტ-კეისრის შვილის ალღუზონის ზღაპრული მოქმედებანი?!) უფასონი გახლავან, მაგრამ მაინც პოემა აღგვიწერს კავკასიის მთიელთა ყოფა-ცხოვრებას, ჩვეულებათა, საომარ იარაღს, ჩაცმულობას და სხვ.

ამ ქმნილების ავტორად ბ. გამრეკელი სთვლის Თამარ-დედოფლის ქმარს, Ოსეთის მთავარს Დავით სოსლანს. მან დასწერა იგი იმიტომ, რომ დაემტკიცებინა თავის ჩამომავლობა ბაგრატოვანთ ფესვისაგან, დაემტკიცებინა თვისი განათლება, სარწმუნოება დაჰლირსებოდა Თამარის ქმრობასაო. Აი ამის დასამტკიცებელი ალაგი პოემაში:

ხელ ვჰყო წიგნებს აღწერადა
ვის გვარ ვართ შთამომავალი,
ვინ ვისგან იწვდის ყოფისა
ვის გვართა გამომავალი.

რასაკვირველია, ბ. გამრეკელის აზრის დამარღვეველი საბუთებიც არის პოემაში. მაგალითად აქ ვკითხულობთ:

„ოსთ მეფეს ძლიერს იტყოდნენ:
ფრანგნი, ხაზარნი, გლახელნი,
სახელს უდებდენ ბაყათრად
ფაკოკეთ მგზავსის მნახველნი.
შვენებით, ძალით, მხნეობით
ყოველთ აკვირვა მნახველნი
Ეს სწერა პირმშო მის ძმან
სოსლან აცდუნა სხვა მოქმელნი“.

Ის Დავით სოსლანი, რომელიც ბ. გამრეკელის აზრით არის ამ ქმნილების ავტორი, იყო „პირმშო ძე“ არა ბაყათარისა, არამედ Ჯადაროზისა. Იმისთანა მხნე და განთქმული ხაზარეთიდამ ვლახეთამდე ბაყათარი არავინ ყოფილა „Თამარ-დედოფლის“ დროს. პირველი ბაყათარი სცხოვრებდა მე-X საუკ. ვახტანგ-გორგასლანის დროს, როგორც გვარწმუნებს „ქართლის-ცხოვრება“, ხოლო მეორე ბაყათარი, რომელმაც Ოსეთი ქართველთ მონობისაგან დაიხსნა, სცხოვრებდა მე-XV საუკუნის დასაწყისში (იმ ბაყათარს, რომელიც ბ. გამრეკელის სიტყვით სცხოვრებდა ვახტანგის ძის Დიმიტრი მეფის დროს, ჩვენ არ ვიცნობთ!)

მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას იმ „წინა სიტყვაობა“-საც რომელიც ბ. გამრეკელმა უძღვნა „Ალღუზიანს“. „ამ პოემას, ამბობს ბ. გამრეკელი, ვბეჭდავთ (ვცემთ) როგორც ისტორიულ (?) მასალას Ოსეთისა (?) და მისი დიდი მეფის ბაღათარისა (?!), რომელიც ჯერ კიდევ ხსოვაშია ხალხისა (ხალხის ხსოვაშია). Ეს პოემა გარდა დიდ მის მნიშვნელობისა საქართველო (?) პოეტიკური ლიტერატურისათვის აძლევს ახალ ნათელს (იდიოტიზმია?!) დახშულ ისტორიას Ოსეთის სამეფოსი და ვგონებ რომ ეს არის დაწერილი [illegible] გან“... Დიდის პატი[illegible] გამრეკელი, რომ ის „ბეჭდავს“ „Ალღუზიანს“ „როგორც ისტორიულ მასალას Ოსეთისა და მისი დიდი მეფის ბაღათარისა“, მაგრამ საუბედუროდ ჩვენ ვერ ვპოვეთ პოემაში ის „ახალი ნათელი“, რომელსაც იგი „აძლევს დახშულ ისტორიას Ოსეთის სამეფოსი“... Უფრო კარგი იქმნებოდა, რომ ბ. გამრეკელს პირ-და პირ ეთქვა, რომ პოემას იგი „ჰბეჭდავს“ განსაკუთრებით იმიტომ, რომ მასში აღწერილია ვიღაც გამრეკელის მოქმედებანი;—ამისთვის ხომ არავინ დაემდურებოდა?!..

Დასასრულ ვიტყვით, რომ ჩვენის აზრით პოემა უნდა ეკუთვნოდეს უფრო მე XVII ს., რომელშიაც ბევრი იწერებოდა ამ გვარი პოემები და მოთხრობები. მაგრამ რასაკვირველია თუ ვისმეს ძალ უძს და დაგვიმტკიცა, რომ „Ალღუზიანი“ ეკუთვნის „Თამარ-წყნარის“ ოქროს საუკუნეს, ჩვენ დიდად მოხარულნი ვიქმნებით....

გიორგი ლიახველი.

## ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

აპრილის 28-ს

**პეტერბურგი.** დღეს ჩერნოგორიის მთავრის ქალი მარიამი წაასვენეს ნიკოლაევის სტანციაზე. გასვენებაზე დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა, წევრნი საიმპერატორო გვარეულობისა და სასახლის პირნი. Სმოლნის მონასტერში პანაშვიდის შემდეგ კუბო დაასვენეს ბალდახინზე, რომელშიაც შებმული იყო შავით და მიცვალებულის გერბებით შემოსილი ექვსი ცხენი; ბალდახინს გვერდით მიჰყვებოდნენ კამერ-იუნკერნი და პაჟები კელაპტრებით. ბალდახინისა და კავალერგარდის ესკადრის ბოლოს შუა მიდიოდა სამღვდელოება; ბალდახინს მიჰყვებოდნენ ხელმწიფე იმპერატორი, მემკვიდრე, სხვა დიდი მთავარნი, ჩერნოგორიის სარდალი ნეგოში და ამალა ცხენებით; შემდეგ სამგლოვიარო ეტლით—იმპერატრიცა, ჩერნოგორიის დედოფალი და ჩერნოგორიის მთავრის ქალები: მარიამ, ელენე და ანნა. იმპერატრიცის ეტლის შემდეგ სამგლოვიარო ეტლებითვე მიჰყვებოდნენ დიდი მთავრინები, სასახლის მანდილოსნები და უმაღლესნი წევრნი სასახლისა, ლიტანიის ბოლოს მიდიოდნენ პრეობრაჟენის და კავალერიის პოლკები და გვარდიის არტილერიის რაზმი; რკინის გზის სტანციაზე ლიტანიას მიეგება სასახლის სამღვდელოება და მატარებლის დაძვრის დროს ჯარებმა უკანასკნელად სამხედროდ პატივისცეს მიცვალებულს.

„Новое Время“-ს გაუგონია, რომ სახელმწიფო რჩევაში რუსის ინტერესებისათვის სასარგებლოდ გადაწყვეტილია ფინლიანდიის უპირატესობის საქმე შემოსავლის სქონლის შესახებ.

ფინანსთა მანისტრის პროექტის წინააღმდეგ მხოლოდ მცირე დათმობა მოხდა.

პროექტია, რომ ავანოვო-ვოზნესენსკში, სიზრანში და ეკატერინოდარში გახსნილ იქმნენ სახემწიფო ბანკის განყოფილებანი.

ამიერ-კავკასიის რკინის გზისა და რუსის ნაოსნობის საზოგადოებათა შორის მორიგებით მაისის 1-დამ ბათუმით გაიმართება პირ-და-პირი საგაჭრო გზა ამიერ კავკასიის რკინის გზის სტანციებისა და შავი ზღვის შემდეგის ნავთ-საყუდრების შორის: ოდესის, ნიკოლაევის, ხერსონის, ევპატორიის, სებასტოპოლის, იალთის, თეოდოსიის, ანაპის, ნოვოროსიისკის და აზოვის ზღვისა: ქერჩის, როსტოვის (დონზე), ტაგანროგის, მარიუპოლის და ბერდიანსკის.

სიმლა. კანაუტის ჭერცოგი ორის თვით თვისის თხოვნით განთავისუფლებულ იქმნა სამსახურიდამ

## ბირჟა

პეტერბურგი აპრილის 25.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— | —$23\frac{15}{16}$, $23\frac{1}{8}$ $23\frac{31}{32}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— | —$204\frac{1}{2}$, $205\frac{1}{4}$ $304\frac{3}{4}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | $253\frac{3}{4}$, $254\frac{1}{2}$ 254 |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 22 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 23 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 32 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | 6 და 7% |
| 5% ბილეთები ალმოსავლეთის სესხისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | $97\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | $97\frac{1}{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | 97 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | 217 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | 205 მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | 201 მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. $89\frac{3}{4}$ მ. გამყ. |
| | 43 წ. 88 მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | 43 წ. 90 მ. გამყ. |

## ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი** ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადაგოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა**, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**სამკურნალოში**, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დააარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბოკსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ელლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| ახალქურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |

**იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |

**ჯვარის-მამის პური:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის ლავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |

**მროხის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა— | 1 | გ. | 9 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 10 კ. |

**ღორის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | |
| მეორისა — | —1 — | გ. | |

## რკინის გზა

**თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის**
8 საათზე და 31 წამ. დილით.

**თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ**
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

**თბილისიდამ ბაქოსკენ**
10 საათზე და 45 წამზე დილით.
(სამშაბათობით და შაბათობითსაჩქარო 10 ს. 58 წ. ღამით.)

**ქუთაისიდამ თბილისისკენ**
12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

**ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ**
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

**ბათუმიდგან თბილისისკენ**
8 საათ. დილით.

**ფოთიდგან თბილისისკენ**
8 საათ. და 45 წამ. დილით.

**ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის**
10 საათზე და 25 წამ. ღამით.

**მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის**
8 საათზედ დილით.

**ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში**
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს 53 წ. დილ.)

ნელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება, ბულვარის პირ-და-პირ საკუთარ შენობაში.

(14—11)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

**სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,**

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება **რვა მანათიდამ ათ მანათამდე**, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი
(25—14) გ. ქართველიშვილი.

**მსურს**

გამგებლობა მამულისა

**ვყიდო**

კარგს ცხენებს დროგებით. ადრესი პუკია, ალექსანდრეს ქუჩა, № 72.

(4—2)

**განცხადებანი**

**ქუთაისში,**

**ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში** ისყიდება ყოველ გვარი საქო-

ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85 რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის საზღვარგარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩვენი ჩაი | | 1 მან. — კაპ. | ჩაის | | სხვაგან 1 მან 20 | | დირეზუდს. |
| ,, | ,, | 1 — 20 — | ,, | ,, | 1. — 50 — | | |
| ,, | ,, | 1 — 40 — | ,, | ,, | 1 — 80 — | | |
| ,, | იშვიათი | 1 — 60 — | ,, | ,, | 2 — 20 — | | |
| ,, | ჩინეთის ყვავილი | 1 — 80 — | ,, | ,, | 2 — 50 — | | |
| ,, | ფუჩეფუ | 2 — ,, — | ,, | ,, | 2 — 80 — | | |
| ,, | ფენომენი | 2 — 40 — | ,, | ,, | 3 — ,, — | | |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება

ქალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც 6-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდგან—აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის, კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ. (100—15)

*Доз. ценз. Тифлисъ, 28 Апрѣля 1885 г.* მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.